ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №558463

ნომერი: AR1110632

თარიღი : 19.02.2013

გაცემის თარიღი : 28.02.2013

გაცნობის თარიღი : 13.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის დასაწყისში, , ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ, (ნაკვ. 5/8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოსო აბჟანდაძე პ/ნ 01024049189
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 15 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1110632 განაცხადის პასუხად გაცნობებთ: მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.17.11.005.020 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 1 (1ზ–1)–სა და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში (იხ. დანართი). სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:

ა) განათების;
ბ) სარწყავი სისტემის;
გ) სარეკლამო ბილბორდის;
დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის;
ე) კიბეების, გზების, ბილიკების

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. ამასთან აღნიშნულ ზონაში არსებულ ტერიტორიას ადევს სერვიტუტი, რომელიც უნდა იქნეს დაცული მშენებლობის დროს.

რადგანაც გსურთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის ობიექტის (სათბური) განთავსება, რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით შესაძლებელია განთავსდეს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მხოლოდ სპეციალური ზონალური შეთანხმებით, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1)–ის სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ით შეცვლილს საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულრიების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #07 (20.02.12.)), რომელზეც საკითხი გადაწყდა დადებითად.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხი სამსახურის რეკომენდაციით განხილულ იქნება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ შესაძლებელი გახდება მთელ საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდეს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2), რაც შესაძლებელს გახდის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას სპეციალური ზონალური შეთანხმებით თქვენი ახალი ელექტრონული განაცხადის საფუძველზე. საკრებულოს გადაწყვეტილება გეცნობებათ დამატებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.